

572  
1968/2

# საბავშვო

1968  
საბავშვო  
N7





# ზოზოზ



## მომავალი კაპაპაპილი

ვიცი, გაგივივრდებთ, ქლიაფი გოგრას როგორ დაისხამდაო, მაგრამ იმ წელიწადს ბებუის ბაღში ყველაფერშია გოგრა დაისხა: ქლიაფმაც და არამაშაც, კურამაშაც და მსხალმაც... ლღღემაც და კომშამაც... არა გჯერათ? აბა, მომიხმინეთ და დამიჯერებთ:

თებერვლიდან რომ დაიწყო წვიმები, ივნისამდე აღარ გადუღლია, წვიმდა და წვიმდა. დღე იყო და წვიმდა; ღამე იყო და—მაინც წვიმდა. ხეხილი გამოიკვირტა, მაგრამ ეს იყო და ეს,—დაუკვილეობით კი ველარ დაიყვავილა.

ღარაა ბებუის ბაღი ცარიელტარიელი. სამეფიგორდ, გოგრა გადარია ბაღნაში. ისე გაიბარდა, რომ ბაღნაში ვერარ დაეტია, ბაღში შეიპარა და ხეხილზე ატოცდა. გოგრის ერთი მწკალი მსხლის ტოტს ჩაებდაუა, მეორე ატმის ტოტს მისწვდა. მესამე კომშს ჩამოეკიდა, მეო-



# ღაღისა ქლიაპა გოგრა

10.682.

თებ—თხა თხაზე ნაკლები მეგლმა შექბა-მოსო" და კერძის ტოტს დაეკონწილია. ბებუის, აბა, რა გამოეპარებოდა, მაგრამ არ გაჯერებულა:

— ხეხილს მაინც არაფერი ასხია და გაუშვი, გოგრამ მაინც გაიხაროს; ცელქი ბიჭვით, მასაც ხეებზე პროშილი უყუვარს და იყოსო.

ხეზე ასულმა გოგრამ კიდევ დაიყვავილა და კიდევ დაისხა. იმდენი დაისხა, ვერც დაითვლილით.

ბებუის არც ეს გამოპარავია, მაგრამ არც ახლა გაჯერებულა:

— გაუშვი ერთი, რა უნდა ქნას! ეს წვიმები გოგრასაც არ ახვირებს, ცოტა ხანს მაინც ისერიწოს ხეზე; მოსწყინდება და ჩამოვაო.

მაგრამ ბებუის სიტყვები არ გამართლდა: გამოიღარა, დათბა და გოგრის ბარდმა იჭურობა დაფარა. არც პატარა, თო-

## სახტი მანის სასუქანამა

თო გოგრები ვასციენია,—დღითიღღე, თვალსა და ხელს შუა იზრდებოდნენ. მალე ზოგი ხელადისოდენა გახდა, ზოგი—ლოქისოდენა, ზოგი—კოკისოდენა, ზოგი კი, თუ დამიჯერებთ—ლორისოდენა. გასუქებული ლორისოდენა.

— ბიჭებო, ბიჭებო! ბებუის ქლიაფებს გოგრა დაუსხამს!—დაიძხა ერთხელ თამაზმა და მას შემდეგ ქვეყანამ გაიგო, რომ ქლიაფმა გოგრა დაისხა. მარტო ქლიაფმა კი არა,—მსხალმაც, კომშამაც, კურამმაც... ერთი სიტყვით, რაც ბებუის ბაღში ხეხილი იღვა, ყველაფერს გოგრა ესხა. უშველებელი გოგრები გუდნებვით გვიდა ხეებზე; ბებუა კი ტოტებს ყოველდღე ახალ-ახალ ზოქინტებს უღდა—არ ჩამოიმტერნენო. თანაც ვლიმზობდა და ხმადაბლა ბუტბუტებდა:

— დალოკოს ქა, წრეწოლს რანარად მოიხველა თავი ამ გოგრამ! რაც ხეხილს დააკლდა, ამან ვადითთავა!





# გზიკვნილს

## ა ბ გ დ ე ვ ზ თ ი

### მინი პიუნიანი

ტყის მჭედელი დათვია, უროსხელა თათი აქვს. შრომა როდი აპურებს, აწმითინებს საბერველს.

ციციე — პარამუტისტი ურთ ადგილას ვეღარ ძლებს. ზღარბი გახალვით ხარაზი, ძია საბილი — შეხანძრე.

კატა ტბაზე მადით სათუვზაოდ დადის.

წერო ყველას ცემიობს, წერს ღღელდამ რეკუბტებს. აი, ასეთ ბეითაღს საწთლით უნდა ეძებდეთ.

წყალში სახლებს აშენებს ინიენერი წაგი. ფულუროში გოტი ზის და თავს იკლავს სწავლით.

ბეჭეწითი ისე უყვართ, წარამარა ახსენებენ, ტბაში ზურგით ასვირნებს ტყის პატარა დამსვენებლებს.

ტოროლა და ბუღბუღლები აცდებენ საყრავებს. კოდალები ახაბლ ცნობებსა ყველა ხეზე აყრავენ.



### ნახატები ზაბა შირახმასა

ყურყაყარა მებაღვა, ბოსტანს უვლის ტყისპირას. შავი ყვავი სიმღერაში ვეობრება ყოინას.

ვირაფივით ასტრონომი ნეტაე სხვებიც გვეყვდეს! ტელესკოპი რაში უნდა, — თავით წვდება ცამდე.

მაიწინი გაჯამაზდა, კულით ხეზე ჰკილია. ნინაგი წვეს მღინარეზე, ვითომ რკინის ხილია.

შეხეთ, მორბის კენგურუ, მოაქვს ვურნალ-გაზეთი. მარდი ფოსტალიონი ვის უნახავს ასეთი.

ლომი — მთავარსარდალი თავზე ჩაჩნას იხურავს. ვეფხე გრგვინავს მეხივით, ჯიქი იწვეს ჯიქურად.

ახლა ჩემო პატარებო, მომისმინეთ ყურადღებით; თქვენ რომ ასე მოვეწონათ ეს ლამაზი სურათები, — ამას წინათ საიდანღაც მომივიდა ამანათით. თურმე მზიკმა გადაიღო კონტა ფოტოპარტით.

# МААЯТКО



ეს მოთხრობები და ზღაპრები თარგმნა მწერალმა **ჭაბუა ამირაჯიბამ**. ლექსები — პოეტმა **ვიჟი ძნალაძემ**.



## საპნის ბუშტავი

— რა ლამაზი და მსუბუქი ბურთები! — განცვივრდა ცუტა.

— ბურთები კი არა, საპნის ბუშტავები, — მიუღო ბიჭუნამ, — სათამაშოების მღაზიაში აატარა სპილო ვიყიდე ამ ბუშტავს ის სპილო აკეთებს.

ბიჭუნამ და ცუტამ უყურეს, უყურეს აატარა სპილოს და თვითონაც მოუნდათ თამაში.

ჯამფლაში ცოტაოდენი თბილი წყალი ჩაასხეს. შიგ საპნის ბუჭერი ჩაადგეს და ააქაფეს. მერე კარგი კოჭი იპოვეს. კოჭის ერთი ბოლო საპნის ქაფში ჩაჰყვეს, მეორე ბოლოდან სული ჩაუბერეს. პაერში ცალკური ბუშტავი აღივლიდნენ.

— ძალიან ლამაზია! — აღტაცებით თქვა ბიჭუნამ.

— აბა, თქვენც სცადეთ, ბავშვებო! კოჭის მაგიერ ჩალის ღერიც გამოდგება.

გამარჯობათ, ჩემო საუვა-რელო მეგობრებო! მე პატარა გოგონა ვარ, კალინკა მქვია. მიუვარს ტყე და მინდორ-ველი. ყველა ჩიტუნა, მწერი და ბალახი ჩემი მეგობარია. ვზრუნავ მათთვის, გასაქირში ვეხმარები. მათაც ვუყვარვარ, თავიანთ ამბებს მიუყვებიან ხოლმე. ამიტომ ბევრი რამ ვიცი. მოდით ჩემს ფანჯარასთან, საინტერესო ამბებს მოგიყვები.

ივლისის მზე უხვი და მცხუნვარეა. ბაღებში ხილს ალისფერი წაუკიდა. არც ჩემი ვაშლის ხე დაივიწყა, — ნაყოფი დაუმწიფა, ტბილი წვენი გაუვსო, ლოყები აულაჟდა. შეხეთ, ჩემს ფანჯარასთან როგორი ვაშლის ხე დგას!

თქვენს ბაღში რა ხეხილია? რომელს ასხია?

თქვენს ფანჯარასთან რა ხარობს?



## კომპოზი

ცუგამ კალინკას სთხოვა, კომპო-  
ტი მომიხარშეო.

— სიამოვნებით, თუ ხილვულს  
მომიტან,—დათანხმდა კალინკა.

გაცუნცულდა ცუგა და პირთამდე  
საესე კალათა მოურბენინა.

— ეჭვე, — გაიცინა კალინკამ, — ამი-  
სი კომპოტი ვის გაუგონია!

— რატომ! — გაუკვირდა ცუგას.  
ბავშვებო, აბა, თქვენ თუ მიხე-  
დებით, — რატომ?!



### ვინ იხსოვრება ამ სახლში

მ. სვამაში

ლილას აქეთ, მთელი დღეა.  
სახლს ვაშენებთ მე და ბაბუ.  
არ გვკირდება ქვა და რკინა.  
არც კირს ვხმარობთ და არც აგურს.  
მიდი-მოღის შალაშინი,  
წინ და უკან, ჩქარა-ჩქარა:  
სახლს ვაშენებთ პაწაწინას. —  
არც კარი აქვს, არც ფანჯარა.  
აბა, უკვე გადავხურეთ,  
კუქრუტანით დავამშვენეთ:  
აბა, მიხვდით: მე და ბაბუმ  
სახლი ვისთვის ავაშენეთ?!


ნახატები ლ. სპიროვასი



## აკათათვა

ი. კულსა

მზეში დივდივებს თავთუხი,  
ყანა ზღვასავით ნანაობს:  
— დაფიქრებულდარ, ხომ ხედავ,  
მკათათვევ,— მოდი ჩქარაო!  
გახურდა მკა და ნამგალი  
შურით გაჰყურებს კომბაინს,  
ბუნკერებიდან ხასხასით  
ცვივა და ცვივა ხორბალი...  
შრომობს დიდი და პატარა,  
გულში იღვრება ხადისი,  
მზით განათებულ მინდვრებზე  
ტპბილი სიმღერა გაისმის.



## ღაჯხმარათ!

გზა არ უნდა აერიოს, დაეხმარეთ, მიიყვანეთ  
რომ დაკრიფოს სოკო... სოკოებთან გოგო.



ცხოვრობდა ტყეში ერთი კურღლელი. ქვეყანა ტრაბახით ჰქონდა აკლებული: სირბილიც სხვაზე უკეთესი ვიცი და ვერც ეშმაკობაში მაჯობებს ვინმეო! იმდენი იტრაბახა, ლამის დაარწმუნა კიდევ ცხოველები, მაგრამ აი, რა მოხდა:

იმ ტყეში კარგა მოზრდილი ღელე ჩამოდიოდა. ღელე ხანდახან ისე მოდიდებოდა ხოლმე, კაი ბიჭი იყავი და გადაგეტოპა. თხევების იმედალ იყვნენ: თახვები ხეს ფესვებს გამოუღრღინდნენ და ხილიც მზად იყო. მაგრამ ზოგი ვერც იმ წაწლაზე ბედავდა გადასვლას და შინ კუდამოძუებული ბრუნდებოდა.

იფიქრეს ცხოველებმა, რა ვქნათ, რა ვიღონოთო და გადასწყვიტეს. ღელეზე ხიდი გაედოთ. ყველა დაფატურდა: თახვები ხეებს სკოიდნენ, მგელი მორებს მოათრევდა, დათვი ხიძინჯებს არკობდა, მელა კუდით ბურბუშელას ხეგტდა. ფრინველები რომ ფრინველები არიან. ისინიც კი არ იყვნენ უქმად. კადალა ფიცრებს ხეგტდა, ყვავს ლურსმნები მოჰქონდა, ბუ ნისკარტით არკობდა.

მხოლოდ კურღლელი არ იწუხებდა თავს: მხარეთმცხე წამოწოლილიყო, მზეს მიფიცებოდა, თმწებლებს ვასცქეროდა და იცინოდა: რაში მჭირდება ეგ თქვენი ხილია თუ რაღაცა! მოვინდომო თორემ, აქეთ ნაპირზე რომ ფეხს დავკრავ, იქით ნაპირზე გავჩნდებიო.

ცხოველებმა ღელეზე ისეთი ხიდი გასდეს, უკეთესს ვნა ვერ იტყოდა.

ერთხელ კურღლელი გზალ მელას შეეფეთა ბუნჩებში გადახტომა დააპირა, მაგრამ ვერ მოასწრო,—მელამ ღელესთან მიიმწყვდია. ხიდი იქვე იყო... გადავირბნენ და მივიმალებიო,—იფიქრა კურღლელმა. მაგრამ ხილთან დათვი დაბაჯბაჯებდა: კურღლელი რომ დაინახა, ტორი დაუქნია: ხილთან არ მიხვიდე, თორემ მე ვიცი შენი წამალიო!

რაღა გზა ჰქონდა, ღელეზე უნდა გადამხტარიყო ძალღონე მოიკრიბა, გამოქანდა. თვლები დახუჭა და ისკუპა!.. ისკუპა, მაგრამ შიგ შუა წყალში მოადინა ტყაპანი.

ის დღეა და ის დღე, კურღლელი ტრაბახსაც მოეშვა და აღარც მუშაობა ეხარება.



# ჩახუი

პეტრო პეტოვი

ღედა ჩაიციუნებს და წყალს მოიტანს. ჯერ ხელებს დაიბან, მერე პირზე შეისხამ წყალს და ფრუუტ! ფრუუტ!—მამასავით დაიფრუტუნებ. მართლა კარგია!

თუ მამა შინ არის, ვანიკოს მეტი რა უნდა! მაგრამ ახლა რომ სამსახურშია! ლოდინი მოსაბეზრებელია. საქათმის მშენებლობაც შეჩერებულია. ეზოში ავზი დგას. ამ ავზში მამა სილასა ზელს ხოლმე. ვანიკომ

ვანიკო ხუთი წლისაა. ძალიან უყვარს მამა, მასთან ყოფნას არაფერი ურჩევნია. სულ ერთად მიდიან და მოდიან; საქმესაც ერთად აკეთებენ. მამა რომ წყალზე მიდის, ვანიკოც ნამდვილი კაცივით, გრძელი ნაბიჯებით მიჰყვება გვერდით და მასაც ვედროები მიაქვს. მართალია, სათამაშოა, მაგრამ მაინც ხომ ვედროებია! ბოსტანშია და, მამას ბარი უჭირავს, ვანიკოს—ფოცხი.

ერთხელ მამამ ვანიკოს ისიც კი უთხრა, კარგი შემფარე მყავხარო!

ეს მაშინ. იყო, ბოცვერებისათვის გალიას რომ აკეთებდნენ: მამა ნახევრამდე ჩაარჭობდა ლურსმანს, მერე ჩაქუჩს ვანიკოს მისცემდა. ვანიკოც დაჰკრავდა, დაჰკრავდა და... ლურსმანი ბოლომდე ჩაჰყავდა.

ამ ცოტა ხნის წინ კი მამა-შვილმა ღიღ საქმეს მოჰკიდეს ხელი,—საქათმის მშენებას შეუღღენ. ჯერ ადგილი შეარჩიეს. მერე მამამ აგური მოზიდა, სილა მოიტანა და... მშენებლობაც დაიწყო. მამას სილაში ამოსვრილი ხელები აქვს, ვანიკოსაც. აბა, იმას რა სჯობია, ნაჯაფარი რომ მიხვალ სახლში და იტყვი: «ღედაკაცო, წყალი! ხელები დავაბანინე!»





ჩაიხედა, — ავზი ცარიელია. გაიქცა, შინიდან მამის ვედრო გამოიტანა და წყალზე წავიდა.

ვედრო ონკანზე ჩამოჰკიდა, შემოურბინა და ბერკეტს ჩამოსწია. წყალი არ წამოვიდა. ახლა მთელი ტანით ჩამოვიკიდა ბერკეტს, მაგრამ, აი, ხათაბალა თუ გინდა — წყალი მაინც არ წამოვიდა. ეპეე! რა ქნას ვანიკომ? უნდოდა, მამის მოსვლამდე ავზში წყალი მიეზიდა და ონკანის ბერკეტს კი ვერ მოერიო. ესაა საქმე! — დედა და მამა ტყუილად ამბობენ, ნამდვილი ვაჟკაცი გვეყავსო?! იფიქრა ვანიკომ, იფიქრა და მოიფიქრა კიდეც, როგორ მოქცეულიყო.

მამა რომ სამსახურიდან დაბრუნდა, ვანიკოს ავზი ნახევრამდე ჰქონდა ავსებული.


— როგორ მოერიე ვედროს ვანიკო? — გაუკვირდა მამას.

— ცოტ-ცოტა მომქონდა.  
— ონკანი როგორღა გააღე?

— ონკანის ბერკეტზე დედიკოს ბაღურა ჩამოვკიდე, ბაღურაში ავურები ჩავაწყე, მეც ზედ ჩამოვეკიდე და ონკანიც გაიღო.

მამამ ვანიკოს მხარზე დაჰკრა ხელი:

— აი, ახლა კი ვზედავ, რომ ნამდვილი კაცი ხარ, ვაჟკაცი!



ნახატები ა. პასიკუნასი

სალამოს დედა ფანჯარაში გაღმოდგა და დაიძახა:

— კაცებო, მოდით. ვახშამი მზად არის!

ნახატები ლ. სპიროსოვასი



მ. კოხანასია

ნახატი ე. მახშირკვანი

გამოხედეთ, — შემოდგომა უკვე კარზე მოგვადგა, კოკროქინა კალათებით საჩუქრები მოგვართვა: ლაქლაქელა ვაშლები და ჩათაფლული მსხლეები, ქლიავის და ჭროლა ლელვის ქამით ველარ ვღებით. გვეფერება შემოდგომა, საჩუქრებით გვესებს, შემოგებარის, შემოგეცინის, თან გვარიგებს ასე: — ქვეყანაზე ძმობის ფიცი გწამდეთ წმინდა ფიცად, — დედასავით გყვარებოდეთ მშობლიური მიწა!

# ჩოჩუჩი

ლ. კოსანასია

ნახატები ლ. ივანოვანი



ზ ლ ა პ ა რ ი

ერთხელ დათვმა — თაფლიჭამიამ ქოშები დაკარგა.

დაკარგა და მორჩა! იმ ქოშების ახავალ-დასავალი ვერავინ გაიგო. დიდი კი არა-ფერი, ჯღანები იყო, მაგრამ ფეხზე კარგად

ჰქონდა მორგებული და გული დასწყდა. ეჭ-აფხუს!

თვითონ ეძებდა, — ვერ იპოვა. მელია კუ-დაგრძელიამ ეძებდა, — ვერც იმან იპოვა. თაფლიჭამიამ ძალიან იღარდა თავისი ქო-



შები, მაგრამ თან ხომ არ გადაჰყვებოდა: როგორც იქნა, ვადიგდო გულიდან და დახეთ, ახალი სადარდელო არ გაუჩნდა! ქორები დაუყარეს, ბოროტი ხმები მთელ სოფელს მოსდეს:

აქეთ—ბებოს არაუხანი მოჰპარაო, იქით—ერთი კეთილი ბერიკაცია და ქათმის სინსილა გაუწყოო... არა და, თაფლიკუმიას წინათ ყველა პატივის სცემდა, ახლა ვინც გზად შემოეყარა, ყველამ ზურგი შეაქცია. იქნებ ამ საქმეს სხვა ვინმე სჩადიოდა და დათვის აბრალებდნენ? კი ბატონო, მაგრამ ა, დათვი და ა, კვალიო. კვალი კი ყველგან თაფლიკუმიასი იყო, დათვის ქოშებიც!

ვაი, სირცხვილო და თავის მოჭრავ! უგუნებოდ შეიქნა თაფლიკუმია, დანის, მკერდზე ტორს იბრაგუნებს და იფიცება:

— არა ვიცი-რა! უბრალო ვარ!—მიწა გამისკდეს და თან ჩამიტანოს, თუ მართალი არ ვიყო!

— ქოშების კვალიო?!—ველარ გაიგეთ, ხალხო, რომ ქოშები რა ხანია აღარა მაქვს, აკი დამეკარგა!

ვინ დაუჯერა! ა, დათვი და ა, კვალიო.

— ნეტავი თქვენა, ბატონო დათვო, ხმებს რომ აჰყოლიხართ,—ანუგეშებდა მელია კუდაგრძელია,—ილაუბონ, რა გენაღვლებათ. მაგდენმა დარდმა დასნეულებაც იცის. აბა, შემომხედეთ: რას არა უბედობენ ჩემზე, მაგრამ აინუნსიც არ ვაგდებ და აკი ფერზეც კარგადა ვარ და ხორცზეც!

მართლაც და მელია კუდაგრძელია ბოლო ხანებში ისე გასუქდა და გაკეთდა, მელიის უნახავს გაგხდიდათ.

დათვი კი ლამის სადარდელებს გადაჰყვა: არ იქნა და არ მიწყდა კორი და მითქმა-მოთქმა.



ტანიამ პირსახოცი მოჭარგა. ვის უნდა არუქოს? ნახატს დააკვირდი და თქვი!

ნახატი ვ. კაპუნისა

აბა, ვინ რა იცოდა, რომ ყველაფერი იმ ქურღბაცაცა მელია კუდაგრძელიას ოინები იყო.





პველუსი და ოქსანკა ტყეში სოკოზე წა-  
ვიდნენ.

უცემე ქარმა დაუბერა და ორივეს ქულები  
მოსტაცა. აქეთ ეცნენ, იქით ეცნენ, მაგრამ  
თქვენც არ მომიკვდეთ: ქულები ცამ ჩაუღა-  
მა თუ მიწამ,—გერაფერი ვაიგებს.

ბავშვებო, დაემხარეთ პველუსსა და ოქ-  
სანკას ქულების პოვნაში. აბა, ერთი ვნა-  
ხოთ, ვინ უფრო მარჯვია!

ნახატები ნ. შტრაფინსკაიანი



აბა, გამოიკანით, ვინ და ვინ  
ცხოვრობს ამ სახლში?!

ნახატი ა. კოლსოვანი



მეგობრებო, თქვენ უკვე მიც-  
ნობთ: მალიატკო ვარ, თქვენ-  
ბურად—ცეროდენ. მე, კალინკამ  
და ცუგამ ეს მხიარული მოთხ-  
რობები და ზღაპრები, ლექსები  
და განართომები უკრანინდან ჩა-  
მოგიტანეთ. ჩვენს ბავშვებს ისი-  
ნი ძალიან მოსწონთ. თქვენც რომ  
მოგეწონათ, სახივეს გავგებარ-  
და—მეც, კალინკასაც და ცუ-  
გასაც.  
სულ კარგად და ბედნიერად  
იყავით.  
თქვენი მალიატკო (ცეროდენ)





# უყუპოვარი ბები

მერაბ ჯანელიძე

რა სათამაშო არ ჰქონდა გიას: რაკეტა გინდა, ამწე გინდა თუ ტრაქტორი, ნამდვილივით რომ თუხთუხებდა. აქეთ კიდევ: სპილო, გრძელფეხებიანი ხის ყანჩა, რეზინის ბეჭემოთი, გასაბერი მწვანე ბაყაყი...

ყველას თავისი სახელი ერქვა. მაგალითად, ყანჩას გიამ კანკა დაარქვა, დიდ ნაცრისფერ ბეჭემოს—ძია ბუყია.

ერთ საღამოს მამამ გემიც მოუტანა გიას. გემს განიერი გემბანი, განათებული კაიუტები და დიდი, თეთრი იალქნები ჰქონდა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, გემზე ზარბაზნიც კი იდგა და ალბათ, კაიუტებში მეზღვაურებიც ისხდნენ. ალბათ კი არა, გიას ნამდვილად სჯეროდა, რომ ასე იყო.

გიას ძალიან შეუყვარდა გემი,—ჩაასხამდა გობში წყალს და დაატვიტოვებდა. ერთხელ ტბაზეც წაიღო. თამაშით ისე გაერთო, ვერც კი გაიგო, როგორ ჩამობნელდა. ჰოლა, დედა გაახსენდა და მა-

ნახატები **ლ. ზარაშვილიძის**

შინვე შინისაკენ მოკურცხლო, გემი კი ტბის პირას დარჩა. დასამინებლად რომ დაწვა, მაშინ მოაგონდა თავისი გემი. ლამის იყო, იტირა, მაგრამ დაიამედეს, გემი ხვალაც იქ დაგხედებო. ან კი რაღა უნდა ექნა... ლოგინში გატრუნული იწვა და გემზე ფიქრობდა.

ამ ფიქრში იყო, რომ ჩაეძინა.

შუალამისას უეცრად ქარიშხალი ამოვარდა. ღრუბლებმა ცა დააბნელეს. მოზღვავენ ტალოები და მისკდნენ გემს. დაიბერნენ იალქნები, გემი დაძრა და... ტალოებში შეეცურა.

გემზე განგაშის ხმა გაისმა. გემბანზე კაპიტანი გამოჩნდა. მეზღვაურებმა კაპიტნის ბრძანებზე სახელოები დაიკაიწეს და თავთავიანთ ადგილებზე წავიდნენ და დაელოდნენ: რაღაც არ უნდა დაჯლოდათ, გემი სამშვიდობოზე უნდა გაეყვანათ.

ამ ტბის პირებზე, ქაოტებში, მხიარული ბაყაყები ცხოვრობდნენ. ერთ-ერთმა

მათგანმა, ყოყინამ, შეუპოვარი გემის და-  
ნახეზე ერთი ვაი-უშველვებელი ატეხა.  
— ერთი უყურეთ ამ თავზახელადლე-  
ბულ გემს, როგორ ებრძვის ქარიშხალს!  
რისი იმედი აქვს, ნეტაეი? მამაჩემს ჰქონ-  
დეს ცხოვნება, ურჩევნია, ისევ თავის  
გობს დაუბრუნდეს!

ბაყაყი ისევ ყოყინებდა და ტრაბახობ-  
და, ვერც კი შენიშნა, როგორ მიებარა  
გრძელდებოდა ყანჩა. კანქამ ერთი ჩაუნის-  
კარტა ყოყინას და ყანყარტოში გადაუ-  
ძანა მერე ამაყად მიიხედ-მოიხედა და  
ბაყაყები რომ ვეღარსად დაინახა, პირ-  
დაპირ გემისაკენ გადააბოტა.

მაგრამ გემი განა უბრძოლველად და-  
ნებდებოდა ყანჩას?! მეზღვაურებმა ზარ-  
ბაზნები დაუშინეს, მაგრამ პატარა ზარ-  
ბაზანმა კანქას ვერაფერი დააკლო, ბუმ-  
ბულიც ვერ შეიურხია.

გემი მიცურავდა და მიცურავდა. ტალ-  
ღებს ებრძოდა და წინ მიიწევდა.

მეზღვაურებს თავი სამშვიდობოზე  
ეგონათ, რომ ახალ უბედურებას გადაე-  
ყარნენ: შუა ტბაში უშველვებელ ნაცრის-  
ფერ კლდეს წაადგნენ. ეს ხომ ბეჭემო-  
თის, ძია ბუყიას ზურგი იყო. ბეჭემოთს  
სასეირნოდ გამოეყვანა თავისი შვილი  
ბუთქუნა. ბუთქუნამ თვალნი მოჰკრა თუ  
არა გემს, აროხროხდა. აიჩნდა, გემი მინ-  
დაო.

მაგრამ კაბიტანმა იფიქრა, ბეჭემოთის  
ხელში პატარა გემს კარგი დღე არ დაა-  
დგებოდა და ბრძანება გასცა, გეზი იცვა-  
ლეთო.

გემი მიცურავდა და მიცურავდა, ტალ-  
ღებს ებრძოდა და წინ მიიწევდა.

დილით გიამ რომ გაიღვიძა, გემის  
ამბავი დედას და მამას უამბო. დედამ  
გაიციხა და უთხრა: სიზმარი გინახავსო.  
მამამ კი ურჩია, გაიქეცი და გემი მოი-  
ტანეო.

გია მაშინვე გაიქცა ტბაზე. გახარებულ-  
მა მოარბენინა თავისი პატარა გემი და  
ის დღეა და ეს დღე, აღარსად დარჩენია  
იგი.



ზანი როლიანი

ფერთ სჯემე სჯემისჯან  
განირჩევა მკვეთრად.  
ავერ—მეფუნთუშე—  
გაგანგლული თეთრად:

ფქვილით ვანთებობა  
თვალ-წარბი და კეფა.  
უთენია იღვიძებს,  
უთენია ღებებს...

მაგალითად, შავია  
ცეცხლფარეში უვება.  
მღებავს „ჭრელი აცვია“,  
ათასფერად ელავს.

ცა ღურჯია, ხარაჩო  
შესდგომია ცას,  
ღურჯი სვეცხანს(ცმელით  
მუშა ცაში დვას.

ზეთში, ჰვარტლში მოთხვრილი  
ხელები აქვს მუშას.  
მდიდარს ხელისგულზე  
კოკური არსად უჩანს.

ვარდისფერი ფრწხილები აქვს,  
თითები აქვს თეთრი,  
ხელზე ჭუჭუი არ სცხნია,  
არც კუჩრი და ზეთი.

მაგრამ, აბა, სითეთრე  
რას უშეულის თითებს,—  
შავბნელი აქვთ სჯემე  
მუქთანორა მდიდრებს!

თარგმანი მამკან ლეპანიძისა  
ნახატები ზურაბ ჯაპანაძისა



რად უმელობას რად ფერნი ავეს?



## ყანჩა

თამაზ შათირიშვილი

ერთი შეხვით ყანჩას,  
ყოყროჩინას, ყაჩაღს,  
წყად-წყად როგორ ეძებს  
პაწაწინა თევზებს...  
არ აწუხებს დარდი,  
არხვინად დადის.



## თინინი

გიორგი შათირიშვილი

პატარა ჯამში თამარმა  
ფისოს დაუსხა რძე,  
რომ დაინახა თიკანმა,  
დაიკიკინა—მეეე!?

ლექსი მუჰამად მრავალიშვილისა  
მუსიკა ნანა შატერაშვილისა

## უისო

უუურეთ, ფისოც პირს იბანს,  
სულ გაილოკა თათები,  
გაუნაბია თვალეები,  
ბრძანდება ღამენათევი.  
თვალეები ამოიწმინდა,  
ეური ასწია, დასწია,  
ულვაშზე თათი გადასვა,  
თაგვის საძებრად გასწია.


ზომივად

ფ - ყუ - ხო, ფი - სოც პირს ი - ბანს,  
ოვა - ლე - ში - ა - ში - ი - წმ - და,

სულ - გა - ი - ლო - კა - თა - თა - ში,  
ყუ - ხი - ას - წი - ა - დას - წი - ა,

გა - უ - ნა - ში - ა - თვა - ლე - ში,  
ულ - ვაშ - ზე - თა - თი - გა - ლს - ვა,

შას - და - შა - ღე - ნა - თა - ვი,  
თა - გვის - ნა - ძე - ხელ - ვას - წი - ა





# სოცხანი წინლაჸი



10.682

## წეჸუსი



## ჴაიჴი

ჴოთი აჴირანავილი  
ტანსაცმელზე გეჴურებენ,  
ხოჴი შიჴიხუდით, რაც არი?—  
დაუბატუნ სიტყუას თაჴში  
მისი წინა მარცვალი;  
თუ შეჴყვლი ბოლო ბერანს,  
ღანსრულდება შარადა,—  
ღაჴუვარდისფრანდ იჴურჩენება  
გულის გასახსნად.

შთავარი რედაქტორი შუხარან შაბაჴვარიაძე.

ხარედაქციო კოლეჯია: კუპური ზომიარაჴილი, ჴეჴილ ლოლუა, ჴაჴაჴადა ჴიჴილიზილი, ჴეჴილ წინლა,  
იოსებ ძეჴმარაძე (მ/ჴ. ჴიღიაწი), ჴალვა სხადაძე (ხაჴიდატრო რედაქტორი), რეჴო ჴიჴილი.

ხაჴროუელის ალკ ცენტრალური კომიტეტისა და ვ. ი. ლენინის ხაჴილიხის ნორკ ჴიჴინთო ირგანიზაციის რეჴბუღალტორი  
ხაჴის ჴურნალი

ჴლაზე ნახტი ჴიჴაჴ ცუჴმირიხიხი

ტეჴრედაქტორი გიორგი რიღინიზილი


გამოცემის 41-ე წელი.

რედაქციოში შეჴიხული მასალები აგტორებს არ ლუბრუნდებთ.

საქ. კა ცისი ვაზოშეღობა, ვაჴიჴი. ჴეჴი. № 1324. ანაჴუბის ჴიჴი 99/4 X 13 გრაჴი 105.300. ჴალ. ჴიჴი 60 X 90/4. ჴეჴიჴიჴილი დასაბეღელ 24 IV-68 წ.  
დარალი დაბეღილა საქ. კა ცისი ვაზოშეღობის პოლიგრაჴიკომისაგან ლენინის ქ. № 14. „ლიტა“ № 7. ან გრუჴინიკო ვაჴი. ტბილის, პროს. ტაჴაშვილი № 91  
რედაქციის მისამართი: თბილისი, პლანეტის პროს. № 31. ტელ. 95-87-88, 95-10-08. ფასი 20 ჴაჴ.



68/30

საქართველოს  
საბავშვო  
საზოგადოებრივი  
ცენტრის  
გამართავი  
სამსახური



### ქ. მხაკაიას № 5 საბავშვო ბაღის ელსაზარდეთა ნახაზები

სახლი გორაზე—ნახატი ნოდარ გოგოლისა.  
ბაღი—ნახატი მამია გოგიახის.  
ალუბალი დაშწიფლა—ნახატი ნატო გვაჭავასის.  
ჩვენი „გოლგა“—ნახატი ვლადიმერ ბალათურაისა.  
ჩიტები—აპლიკაცია დალი თოლორდავასი.  
კურღლეები ბოსტანში—აპლიკაცია ნატო კვეკელიასი.



76055